

შპს - უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“ 2016 წლის 29 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ- პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტსა და მიმართულებაზე:

### 1. მიმართულება-სამართალი

დარგი/სპეციალობა- საერთაშორისო სამართალი(0602)

- პროფესორი - 2 ადგილი;
- ასოცირებული პროფესორი - 4 ადგილი;
- ასისტენტ პროფესორი—6 ადგილი;
- ასისტენტი-3 ადგილი

### 2. მიმართულება სოციალური მეცნიერებები

დარგი/სპეციალობა- 0703 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა

- პროფესორი - 1 ადგილი;
- ასოცირებული პროფესორი - 3 ადგილი;
- ასისტენტ პროფესორი - 3 ადგილი;
- ასისტენტი-3 ადგილი

საკონკურსო პირობები

–პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

–ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

– ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

- ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას - დოქტორანტი;

– აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა შპს -უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“-ში უნდა წარმოადგინოს

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებელის ვებ-გვერდზე ან შესაძლებელია

მიღებული იქნას სასწავლებელის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში - დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ე) CV (ავტობიოგრაფია)

ვ) 2 (ორი) ფოტოსურათი.

ზ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს (ასისტენტის შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა სავალდებულო არ არის);

თ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

**შენიშვნა:** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პულიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებელის ვებ-გვერდზე ან შესაძლებელია მიღებული იქნას სასწავლებელის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) CV (ავტობიოგრაფია);

ე) 2 (ორი) ფოტოსურათი;

ვ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პულიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №35.

კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 31 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2016 წლის 29 აპრილისა.